



თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 9

„29“ თებერვალი 2016 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის  
გამგებელზე პრემიის გაცემის შესახებ

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს/გამგებობის თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №58 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს - ალექსანდრე შათირიშვილს 2015 წელს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში განხორციელებული წარმატებული პროექტებისათვის მიეცეს კვარტალური პრემია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;
2. განკარგულების შესრულება უზრუნველყოს გამგებობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურმა;
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



ქეთევან ჯიჯიაძე პაატა გიორგობიანი